

ფიზიკური პირის მიერ გაცემული უპროცენტო სესხი 0722

ფაქტობრივი გარემოებები

გადასახადის მოწმობის არმქონე ფიზიკური პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, ასევე ფიზიკურ პირზე გაცემულია უპროცენტო სესხი

ვარიანტი I:
სესხი გამოყენებული იქნა საოჯახო ავეჯის შესაძენად (არაეკონომიკური საქმიანობისათვის)

ვარიანტი II:
სესხი გამოყენებული იქნა იჯარით გაცემული შენობის რემონტისათვის (ეკონომიკური საქმიანობისათვის)

ფიზიკურ პირებს აღნიშნული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებიათ

შეფასება

ორივე ვარიანტში:
სესხის გამცემს:
-უპროცენტო სესხი უნდა ჩათვალოს მომსახურების უსასყიდლო მიწოდებად;
-უნდა წარედგინა საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია

ორივე ვარიანტში:
სესხის მიმღები ფიზიკური პირის მიერ წარდგენილი უნდა ყოფილიყო საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია და მასში ასახულიყო მიღებული სარგებელი

ორივე ვარიანტში:
სესხის მიმღებ ფიზიკურ პირს საგადასახადო აგენტის ვალდებულება არ წარმოეშობა (სსკ 218-ე მუხლი)

II ვარიანტში:
სესხის მიმღებს (გარდა კაპიტალიზირების შემთხვევისა) უფლება აქვს მიღებული სარგებელი იმავდროულად გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან.

ღონისძიებები

სესხის გამცემს:
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთით უნდა განესაზღვროს დასაბეგრი შემოსავალი და დაერიცხოს კუთვნილი გადასახადი სსკ 167-ე მუხლით დადგენილი განაკვეთით
-უნდა დაეკისროს ჯარიმა სსკ 130-ე და 131-ე მუხლების შესაბამისად

პირველ ვარიანტში
სესხის მიმღებს:
-საბაზრო საპროცენტო განაკვეთით უნდა განესაზღვროს დასაბეგრი შემოსავალი (სარგებელი) და დაერიცხოს კუთვნილი გადასახადი სსკ 167-ე მუხლით დადგენილი განაკვეთით
- უნდა დაეკისროს ჯარიმა 131-ე მუხლის შესაბამისად

II ვარიანტში:
ფიზიკური პირის ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვებში უნდა ჩაირთოს უპროცენტო სესხიდან საბაზრო საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული საპროცენტო შემოსავალი (სარგებელი). შესაბამისად, სსკ 132-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება